ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი

ქ. ტყიბული **8 იანვარი, 2019 წ.**

ოქმი N1

2019 წლის 8 იანვარს ქ. ტყიბულში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდა 7 ადამიანი.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. თემურ ჩუბინიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი;
2. გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
3. კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. შოთა ჯინჯიხაძე - ს.ს.ი.პ. „ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის" დირექტორი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. თენგიზ თევზაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. ზაზა გოჩელაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი.

სხდომა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ;
3. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული საქმიანობების პროცედურების შესახებ.

დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრა გახსნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ ჩუბინიძემ, მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს მთავრობის ინიციატივა - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ ინფორმაცია სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ლომთაძემ. მან მოკლედ მიმოიხილა ინიციატივით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საკითხები:

1. თანხის ოდენობა და განაწილება;
2. პროექტების შერჩევის პროცედურა:
- დასახლების საერთო კრება;

- კონსულტაცია.

3. სიახლეები და რეკომენდაციები
4. შესრულების ვადები
5. ანგარიშვალდებულება.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს ინფორმაცია წარუდგინა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კობა რობაქიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებს გააცნო წინადადებები საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტებისა და განსახორციელებელი პროექტების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით კონკრეტული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

საბჭომ დაადგინა:

1. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პროცედურული გაწერის შესახებ მერის ბრძანების პროექტის მომზადება;

2. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილებას უზრუნველყოს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული საქმიანობების კოორდინირება;

3. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცედურების დაცვით ჩატარება;

4. ეთხოვოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეს შოთა ჯინჯიხაძეს, მრჩეველთა საბჭოს წევრებისათვის ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე, საბჭოს რეკომენდაციების შესახებ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერისა და სამუშაო ჯგუფის ინფორმირება.

5. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, უზრუნველყოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

გიორგი ლომთაძე
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

ზაზა გოჩელაშვილი
სამუშაო ჯგუფის მდივანი